საგადახდო დავალება No 0947

Transfer Order No 0947

ივჩქენი მომავალი  საქართველოს ბანკი CORPORATE

ვალუტირების თარიღი/Value Date: 12/08/2015 რეფერენსი/reference: 3744430728

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
სს სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყარო

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE70BG0000000273059400GEL

თანხა/Amount
2000 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
სს სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყარო

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
201950022

მიმღების დასახელება/Recipient
ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
12/08/2015

გადახდის დანიშნულება/Description
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილება №000119 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: 
"ს.ს. საქართველოს ბანკი"
J.S.C. "BANK OF GEORGIA"
დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან
PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

მშენებლობის, პროექტირების, პროექტების ექსპერტიზის,
ნაგებობათა მდგრადობის და აღდგენა-რეკონსტრუქციის
სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი

შპს ”მალხაზ ბედიაშვილი”

დასკვნა

ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩის №7-ში, სავენტილაციო შახტის გარშემო მსუბუქი კონსტრუქციებით ნაშენი არსებული სავაჭრო პავილიონის არქიტექტურულ კორექტირებულ პროექტთან შესაბამისობის და მისი შემდგომი ექსპლუატაციის შესახებ

თბილისი

2015 წ.

მშენებლობის, პროექტირების, პროექტების ექსპერტიზის,
ნაგებობათა მდგრადობის და აღდგენა-რეკონსტრუქციის
სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი

ფიზიკური პირი "მალხაზ ბედიაშვილი"

დასკვნა

ქ. თბილისში, თეთრი მღვდლის ქუჩის №7-ში, სავენტილაციო შახტის გარშემო მსუბუქი კონსტრუქციებით ნაშენი არსებული საავჭრო პავილიონის არქიტექტურულ კორექტირებულ პროექტთან შესაბამისობის და მისი შემდგომი ექსპლუატაციის შესახებ

ფიზიკური პირი,
ევროკავშირის ექსპერტი მშენებლობის დარგში,
საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი,
საქართველოს დამსახურებული მშენებელი */მ. ბედიაშვილი/*

ინჟინერი */ვ. ოდილავაძე/*

თბილისი

2015წ.

დასკვნა

ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩის №7-ში, სავენტილაციო შახტის გარშემო მსუბუქი კონსტრუქციებით ნაშენი არსებული სავაჭრო პავილიონის არქიტექტურულ კორექტირებულ პროექტთან შესაბამისობის და მისი შემდგომი ექსპლუატაციის შესახებ

ქ. თბილისი *31.07.2015 წ.*

ს/ს "სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყარო"-ს აღმასრულებელ დირექტორს, ბ/ნ გიორგი მაჭავარიანსა და ფიზიკურ პირს, ბ/ნ "მალხაზ ბედიაშვილი-აკადემიკოსი" შორის 2015 წლის 28 ივლისს გაფორმებული №16 ხელშეკრულების შესაბამისად, ვიზუალურად დათვალიერებული იქნა "სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყარო"-ს ტერიტორიაზე არსებული ქ. თბილისის მეტროპოლიტენის რ/ბეტონის სავენტილაციო შახტის გარშემო, მსუბუქი კონსტრუქციებით ნაშენი, მშენებლობით დასრულებული წრიული ფორმის პავილიონი, რათა დადგენილიყო მისი არქიტექტურულ პროექტთან (კორექტირებული) შესაბამისობა და შემდგომი ექსპლუატაციის უსაფრთხოების საკითხი.

2013 წლის 03 ივლისს გაფორმებული №8 ხელშეკრულების შესაბამისად ჩვენს მიერ ი/მ "მალხაზ ბედიაშვილი-აკადემიკოსი"2013 წლის 5 ივლისს გაიცა საექსპერტო დასკვნა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ:

"ქ. თბილისში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, თევდორე მღვდლის ქუჩის №7-ის ტერიტორიაზე ქ. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მეტროპოლიტენის მონოლითური რკინა-ბეტონის მრგვალი ფორმის (დიამეტრით 6,2 მეტრი) სავენტილაციო შახტის გარშემო, შ.პ.ს. "უნივერსალი-07"-ის მიერ დამუშავებული არქიტექტურული პროექტის და ექსპერტიზის მითითებული მოსაზრებების გათვალისწინებით, შ.პ.ს. "კოლხა-07"-ის მიერ დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით, მსუბუქი კონსტრუქციებით დამონტაჟებული სავაჭრო პავილიონი უარყოფითად არ იმოქმედებდა შახტის მდგრადობაზე და პავილიონის ექსპლუატაცია იქნებოდა უსაფრთხო".

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურული სამსახურის 2014 წლის 13 თებერვლის №1123372 ბრძანებით აღნიშნული პქროექტი იქნა შეთანხმებული და გაიცა სათანადო მშენებლობის ნებართვა, რომლის ვადებშიც იქნა აშენებული აღნიშნული პავილიონი.

მშენებლობის პროცესში პროექტში შეტანილი იქნა კორექტივები კერძოდ:

- თავდაპირველი პროექტის (შეთანხმებული) მიხედვით პავილიონში შესვლა ხორციელდებოდა “ი” და “თ” ღერძებში განთავსებული 13,92 მ^2 ფართის ღია ჰოლიდან, საიდანაც შემინული კარებების მეშვეობით ვხვდებოდით 96,22 მ^2 და 40,82 მ^2 ფართობების გვერდით სავაჭრო დარბაზში. დარბაზებს უკანა მხრიდან გამოყოფდა სველი წერტილები. პავილიონში შესვლა, ასევე საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო გასაწევი შემინული ვიტრაჟიდანაც, რომელიც მდებარეობდა ცენტრალური შესავლელის გვერდით, სადაც განთავსდებოდა ღია ბაქანი.
- მშენებლობის მიმდინარეობისას გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე (ანტისანიტარული კერის მოსალოდნელი გაჩენის გამო) პროექტში ნაცვლად “ი” და “თ” ღერძებზე დასამონტაჟებელი შემინული კარებებისა მოეწყო “ი” და “თ” ღერძებში ორფრთიანი შემინული კარი და “ი-ზ” ღერძებში 2,7 ნიშნულზე კი ანტრესოლი ფართით 20,19 მ^2, რომელშიაც განთავსებულია კაბინეტი, ანტრესოლში ასვლა ხდება არსებული რ/ბეტონის სავენტილაციო შახტის მიმდებარედ მოწყობილი კიბით, კიბისა და ანტრესოლის კონსტრუქციები არ არიან შეხებაში შახტის კონსტრუქციასთან.

ანტრესოლის იატაკის მოსაწყობად გამოყენებულია ლითონის კოჭები (შველერები), რომლებიც ელ. რკალური შედუღებით მიმაგრებულია ლითონის Φ140X5,5 მმ-ის სვეტებზე. შემდგომ აღნიშნულ კარკასზე დაგებულია ხის ფენილი და ლამინატის ფურცლები, კედლები მოწყობილია თაბაშირ-მუყაოს ფილებით ლითონის კარკასზე (მსუბუქი კონსტრუქციები).

ანტრესოლში ასასვლელი კიბის კარკასი მოწყობილია ლითონის კუთხოვანებით და ხის საფეხურებით.

ასევე ძველი პროექტით “ა-ბ” ღერძებში ეწყობოდა სველი წერტილები (ფართით 10,1 მ^2 და ტამბურით ფართით 2,15 მ^2).

კორექტირებული პროექტით და ფაქტიურად აღნიშნული სველი წერტილების ნაცვლად “მ-ბ” ღერძებში მოწყობილია სათავსოები (ოთახები) ფართით 9,95 მ^2 და 8,28 მ^2 და სველი წერტილი ფართით 1,43 მ^2, აღნიშნული სათავსოების წინ

დატოვებულია დერეფანი ფართით 5,22 მ^2. აღნიშნული სათავსოების კედლები მოწყობილია თაბაშირ-მუყაოს ფილებით ლითონის კარკასზე.

ნაგებობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ იგი აშენებულია კორექტირებული პროექტის შესაბამისად.

არსებული რ/ბეტონის სავენტილაციო შახტის გარშემო მოწყობილია ორი ცალი წრიული ფორმის მონოლითური რ/ბეტონის ლენტური ტიპის 680 მმ და 1560 მმ დიამეტრის საძირკვლები შესაბამისი კვეთებით 800X400მმ და 400X300 მმ. აღნიშნულ საძირკვლებში ჩამონტაჟებულია ლითონის ჩასატანებელი (ჩდ-1 და ჩდ-2) დეტალები, რომლებზეც დამონტაჟებულია ლითონის Φ140X5,5 მმ დიამეტრის მილები, მათი თავები შეკრულია ლითონის №14 შველერებითა და კუთხოვანებით. აღნიშნულ ლითონის კარკასზე დამონტაჟებულია ნაგებობის მსუბუქი კონსტრუქციები (ალუმინის ვიტრაჟები, თაბაშირ მუყაოს სატიხრე კედლები, მოსაპირკეთებელი ლითონის ფურცლები და სხვა).

20 სმ-მდე სისქის ბეტონის იატაკი ±0,00 ნიშნულზე დაფუძნებულია 40 სმ სისქის ბალასტის დატკეპნილ ფენაზე. იატაკი მოპირკეთებულია ფილებით.

რაც შეეხება ქ. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის 2013 წლის 24 ივნისის №04-07/2449 წერილში მითითებულ მოთხოვნებს, რომ: კომპანიის კუთვნილი სავენტილაციო შახტის გარშემო მსუბუქი კონსტრუქციის მოწყობისას შახტის მიწისზედა კედლები არ უნდა იქნას გამოყენებული საყრდენ კონსტრუქციებათ, არ უნდა შეიზღუდოს ჰაერის დებეტი, მოსაწყობი კონსტრუქციის სახურავიდან წვიმის წყალი არ უნდა მოხვდეს შახტაში, კონსტრუქციის მოწყობისას (ექსტერიერი, ინტერიერი) გამოყენებული უნდა იქნას უწვადი მასალები, შენარჩუნებული იქნას შახტის გადახურვის ლითონის ბადის მთლიანობა, გამორიცხული უნდა იქნას მოსაწყობი კონსტრუქციიდან შახტაში ადამიანის მოხვედრის შესაძლებლობა. აღნიშნული მოთხოვნები სრულად არის დაცული მშენებლობის დროს რის გამოც აღნიშნულ შახტის შემდგომი ექსპლუატაცია უსაფრთხოა.

რაც შეეხება ექსპერტთა მოსაზრებას, რომ სასურველია ლითონის სვეტებზე კონსოლურად მოეწყოს მართკუთხა სამკუთხედის ფორმის ლითონისაგან აწყობილი ფერმები, რომელთა თავები შეკრული იქნება წრიულად "ვალცში" მოღუნული, კვადრატული ან მრგვალი ფორმის მილებით აღვნიშნავთ, რომ კორექტირებული პროექტით გათვალისწინებულია და ფაქტიურად არის

მოწყობილი, როგორც უკვე ვთქვით აღნიშნეთ, ორი ცალი წრიული ფორმის რ/ბეტონის მონოლითური ლენტური ტიპის საძირკვლები, რომლებიც არ არიან შეხებაში რ/ბეტონის სავენტილაციო შახტის კონსტრუქციასთან. აღნიშნულ საძირკვლებზე ეყრდნობა პავილიონის კონსტრუქციები. აღნიშნული გადაწყვეტა გამართლებულია სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების მიხედვით და იგი მისაღებია.

დასკვნა

ქ. თბილისში, თეთრწყაროს ქუჩის №7-ის ტერიტორიაზე ქ. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მეტროპოლიტენის მონოლითური რ/ბეტონის მრგვალი ფორმის სავენტილაციო შახტის გარშემო, შ.პ.ს. "უნივერსალი-პლიუსი"-ის მიერ დამუშავებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტით მსუბუქი კონსტრუქციებით აშენებული სავაჭრო პავილიონი გეგავლენას არ ახდენს აღნიშნულ სავენტილაციო შახტაზე, დაცულია ყველა მოთხოვნა, რაც იყო წაყენებული სატრანსპორტო კომპანიის მიერ.

სავაჭრო პავილიონი აშენებულია კორექტირებული პროექტის მიხედვით და უსაფრთხოა შემდგომი ექსპლუატაციისათვის.

ფიზიკური პირი,
ევროკავშირის ექსპერტი მშენებლობის დარგში,
საინჟინრო აკადემიკოსი,
საქართველოს დამსახურებული მშენებელი /მ. ბედიაშვილი/

ინჟინერი /ვ. ოდილავაძე/